ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N27

დ. ასპინძა 2 მარტი 2023 წ.

ერთის მხრივ ასპინძის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენელი მისი მერის, როსტომ მაგრაქველიძის სახით (შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ №3 მეორე მხრივ შ.პ.ს. "ბოსმეტალ"-ის დირექტორი უჩა დუაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ქ. თბილისი, ჯავახიშვილის 39 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტო ბრძანება №13-ის მეორე მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. CPV3582100. ასპინძის ნუნციპალიტეტის საჭირეობისათვის დროშების შესყიდვა.

N	საქონლის დასახელება	მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	ასპინძის მუნიციპალიტეტის დროშა	დანიშნულება: გარე გამოყენების, სადროშე მასალა, პოლიესტერი,ზომა: სიგრძე-150 სმ, სიგანე 100 სმ. ბეჭდვა ციფრული სულბმინაციური, ქსოვილი შეადგენს ერთ მთლიანობას, შუა ზოლში ნაკერის გარეშე, პერიმეტრზე ორ გვირისტიანი შემოკერვით. გამოყენებული ძაფი ქსოვილის ფერის შესაბამისი, დროშის მარცხენა მხრიდან ვეერტიკალურად მიკერებული მყარი ზონრით,დროშა მდგრადია ამინდის ცვალებადობისადმი. ფერი არ უნდა გახუნდეს და ჩამოირეცხოს;	ცალი	50	23	1150
	სულ			50		1150

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 1150 (ერთი ათასს ასორმოცდაათი) ლარს.

3. საქონლის შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დროშები მიაწოდოს (დ. ასპინძაში მეფე თამარის ქ #3) მიმდინარე წლის არაუგვიანეს 24 მარტისა.

3.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2023 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში ნ. შავაძე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიწოდებული საქონლის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლივ და გონივრულ ვადაში.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% - ს;

დ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.)

შემსყიდველი: ასპინძის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი რ. მაგრაქველიძე
დ. ასპინძა მეფე თამარის ქ.№3
საბანკო რეკვიზიტები:
საინდიფიკაციო კოდი 223105155 ხელმოწერა .....
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი TRESGE22, 220101107
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900

მიმწოდებელი: შპს "ბოსმეტალ"-ი
დირექტორი უ. დუაძე
ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის 39
საბანკო რეკვიზიტები:
საინდიფიკაციო კოდი 402147342 ხელმოწერა .....
ბანკი- ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში
GE29BG0000000161925783
ელ. ფოსტა: ltdbossmetal@gmail.com
ტელ: 511127797

Ucha Duadze 61001018136
Digitally signed by Ucha Duadze
Date: 2023.03.02 11:09:43